დანართი №10
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 22 ივნისის N116 ბრძანებით

დაფინანსების წესი

§ 1. პროექტის შეფასების შესახებ.

1. კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები ფასდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 23 აგვისტოს ბრძანება №176/ნ- ის დანართით განსაზღვრული საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
2. პროექტი გადაეცემა კომისიას, რომელიც პროექტს შეაფასებს სათანადო ქულით.

§ 2. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით.

- **მე - 7 მიმართულებისთვის** (საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები) განსაზღვრული ბიუჯეტი შეადგენს კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის 50%-ს.
- **1-6 სამეცნიერო მიმართულებებისათვის ბიუჯეტის განსაზღვრა:**

1. n_1 -ით აღინიშნება პირველ სამეცნიერო მიმარულებით დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 20- ზე მეტი ან ტოლი[1] ქულით. n_2 -ით- მეორე სამეცნიერო მიმართულებით დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 20- ზე მეტი ან ტოლი ქულით და ა.შ, n_6- ით- მეექვსე სამეცნიერო მიმართულებით დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 20- ზე მეტი ან ტოლი ქულით.

2. ავღნიშნოთ

$$N= n_1 + n_2 + \ldots + n_6.$$

3. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის (1-6) განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$k_1=\frac{n_1}{N}\ ,\ \ k_2=\frac{n_2}{N},\ \ldots\ ,\ k_6=\frac{n_6}{N}\ .$$

4. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის (1-6) განისაზღვრება ბიუჯეტი შემდეგი ფორმულით:

$$B_1=k_1\cdot M\ ,\ \ B_2=k_2\cdot M,\ \ \ldots\ B_6=k_6\cdot M,$$

[1] თუ რომელიმე სამეცნიერო მიმართულებით პროექტი არ დარეგისტრირდა ან თუ რომელიმე მიმართულებით დარეგისტრირებული პროექტების მაქსიმალური ქულა ნაკლებია 20-ზე, მაშინ ეს მიმართულება არ დაფინანსდება.

სადაც M არის კონკურსის ბიუჯეტის 50%, ხოლო B_1, B_2, ..., B_6 არის შესაბამისად პირველი, მეორე,..., მეექვსე სამეცნიერო მიმართულებების ბიუჯეტები.

§ 3. პროექტების დაფინანსების წესი.

1. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისთვის ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სია.
2. ყოველ მიმართულებაში ფინანსდება **მხოლოდ** 20- ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ სამეცნიერო მიმართულებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშულებას.
3. r_1-ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც დარჩება პირველ სამეცნიერო მიმართულებაში ნაშთის სახით. r_2-ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება მეორე სამეცნიერო მართულებაში ნაშთის სახით და ა.შ, -ით r_7 -ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება მეშვიდე სამეცნიერო მიმართულებაში ნაშთის სახით.
4. აღვნიშნოთ

$$R= r_1+ r_2+\ldots+ r_7 ,$$

   სადაც R არის თითოეული სამეცნიერო მიმართულებიდან ნაშთის სახით დარჩენილი თანხათა ჯამი.
5. R თანხა ნაწილდება შედგენილი ერთიანი რანჟირებული სიის მიხედვით დაფინანსების გარეშე დარჩენილ 20 ქულაზე მეტი ან ტოლი ქულების მქონე პროექტებს შორის (ზევიდან ქვევით).
6. ზემოაღნიშნული პროცედურების შემდეგ, ნაშთის სახით დარჩენილი თანხა, რომელიც არ იქნება საკმარისი ერთიანი რანჟირებული სიის რიგით შემდეგი 20 ქულაზე მეტი ან ტოლი ქულის მქონე პროექტის დასაფინანსებლად, დაბრუნდება ფონდის ბიუჯეტში.